

# როგორ დაგასრულოთ ტირანია - ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი

THE CHECKLIST FOR ENDING TYRANNY

პიტერ აკერმანი და ჰარლი მერიმანი

FROM THE BOOK: IS AUTHORITARIANISM STAGING A COMEBACK?

EDITORS: MATTHEW BURROWS AND MARIA J. STEPHAN

THE ATLANTIC COUNCIL, WASHINGTON, DC — 2015

TRANSLATION: GIORGI MELADZE, AUGUST 2017

# TRANSLATOR'S NOTES

## როგორ დავასრულოთ ტირანია - ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი

ავტორები: პიტერ აკერმანი და ჰარდი მერიმანი

თანამედროვე მსოფლიოში, უფრო ხშირად, კონფლიქტები არა სახელმწიფოებს შორის, არამედ სახელმწიფოთა შიგნით წარმოიშობა, ტირანებსა და მათ მიერ ჩაგრულ მოსახლეობას შორის. საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ მოსახლეობას ორი არჩევანი აქვს - ან მოთმინებით დაელოდოს, სანამ ტირანია ფორმას იცვლის და შეარბილებს რეპრესიებს, ან იარაღს მოჰკიდოს ხელი და ძალადობრივად ცადოს რეჟიმის დამხობა. ამ მოსაზრებას აბათილებს არაერთი სამოქალაქო წინააღმდეგობის კამპანიის გამოცდილება (ზოგჯერ მათ „ხალხის ძალაუფლებასაც“ უწოდებენ), რომელიც, ზოგჯერ, ვერც კი წარმოგვიდგენია, იმდენად ხშირად აღწევს წარმატებას. 1900 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელზე, საშუალოდ, ერთი წარმატებული სამოქალაქო წინააღმდეგობის კამპანია მოდის<sup>1</sup>. დიდწილად, სწორედამგვარმა სამოქალაქო მოძრაობებმა განაპირობეს უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ცვლილებები და დემოკრატიული ტრანზიციები 1972 წლის შემდეგ<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, პოლიტიკოსები, მკვლევარები, ჟურნალისტები და ზოგადად, დაინტერესებული დამკვირვებლები სათანადოდ არ აფასებენ მოქალაქეების ხელთ არსებულ შესაძლებლობებს, შეცვალონ რეჟიმები და ძალადობის გამოყენების გარეშე, დაიცვან საკუთარი უფლებები.

### შავი ლაქა ანალიტიკოსებისთვის

ტუნისის და ეგვიპტის მოვლენები 2011 წელს და უფრო თანამედროვე, 2014 წლის უკრაინის მოვლენები კარგი მაგალითია იმისა, თუ რამდენად მოულოდნელი შეიძლება იყოს სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობების გამარჯვება და როგორი მძლავრია მათი უნარი, შეცვალონ რეჟიმები. ეს არ არის ერთეული შემთხვევები, როცა ცვლილებები მოულოდნელი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის. ცოტამ თუ იწინასწარმეტყველა ე.წ. „ფერადი რევოლუციები“ სერბეთში (2000), საქართველოსა (2003) და უკრაინაში (2004). ათწლეულებით ადრე ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ორგანიზებული არაძალადობრივი მოძრაობები ითამაშებდნენ წამყვან როლს ისეთი რეჟიმების დამხობაში, როგორიც იყო: ფილიპინელი დიქტატორის - ფერდინანდ მარკოსის რეჟიმი (1986), ჩილეელი დიქტატორის - ავგუსტო პინოჩეტის რეჟიმი (1988), საბჭოთა კავშირის დიქტატი პოლონეთში (1989), აპართეიდი სამხრეთ აფრიკაში (1992).

საერთაშორისო და რეგიონული ექსპერტები ცდილობენ, ახსნა მოუძებნონ ამ მოვლენებს და ხშირად სამოქალაქო წინააღმდეგობის წარმატებულ მოძრაობებს ისტორიულ ანომალიებად მოიხსენიებენ, რასაც კონკრეტულ სახელმწიფოში, კონკრეტულ ისტორიულ მომენტში არსებული, განსაკუთრებული წინაპირობები იწვევს. ვინაიდან, ასეთ მოძრაობებს უნიკალური ბუნება აქვთ, იშვიათად ცდილობს ვინმე მათ განზოგადებასა და იმ სტრატეგიული მოცემულობების გამოკვეთას, რაც საზოგადოებას მჩაგვრელების წინააღმდეგ ძალების მობილიზებაში ეხმარება. სხვებისგან განსხვავებით, ტირანები „შავ ლაქას“ უყურადღებოდ არ ტოვებენ. საზოგადოებრივი მოძრაობები, „სახალხო ძალაუფლების“ დემონსტრირება, მათ მიერ მთავარ საფრთხედ და აღქმული.

თავი მომზადდა მეთიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

ბოლო ათწლეულში, არაძალადობრივი წინააღმდეგობის კამპანიების ზრდასთან ერთად, დემოკრატიის მხარდამჭერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, კარგად ესმოდეთ, თუ რა განაპირობებს „სახალხო ძალაუფლების“ წარმატებას. არაძალადობრივი კონფლიქტი ბევრ განსხვავებულ კომპონენტს მოიცავს, თუმცა მისი ბაზისი ორი ფუნდამენტური მოცემულობაა: ავტორიტარული რეჟიმები, ძალაუფლების შენარჩუნებისას, დამოკიდებული არიან მათდამი დაქვემდებარებული საზოგადოების საყოველთაო მორჩილებაზე; და მეორე, აღნიშნულ რეჟიმებში ყველა არასდროს არის თანაბრად მორჩილი.

### **როგორ მუშაობს სამოქალაქო წინააღმდეგობა**

ამ ორი საბაზისო რეალობის გათვალისწინებით, სამოქალაქო წინააღმდეგობის ჯგუფები საზოგადოების მობილიზებას ცდილობენ, რათა მოშალონ მორჩილების კულტურა და ამისათვის არაძალადობრივ წნეხს იყენებენ - სხვადასხვა ტაქტიკური სვლების სახით, როგორცაა: გაფიცვა, ბოიკოტი, მასობრივი დემონსტრაციები და სხვ., რათა მჩაგვრელი სისტემის შიგნით არეულობა შეიტანონ და მოიპოვონ უფლებები, თავისუფლებები და სამართლიანობა. როდესაც სამოქალაქო წინააღმდეგობის მონაწილეთა რიცხვი იზრდება და მოძრაობაც უფრო მრავალფეროვანი ხდება, რეჟიმის მხრიდან წევრების მიმართ რეპრესიების გამოყენება აღარ არის საკმარისი იქამდე არსებული წონასწორობის აღსადგენად, პირიქით, მეტად აძლიერებს წინააღმდეგობას.

უწესრიგობები გრძელდება და ბზარები ჩნდება - როგორც მთავრობის შიგნით, ისევე სხვა ინსტიტუტებშიც (პოლიცია, სამხედროები, მედია, პოლიტიკური და ბიუროკრატიული ინსტიტუტები), რომელთა მუშაობაც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია. ამგვარი ბზარები ხშირად გადმობირების წინაპირობა ხდება და თუ გადმობირებულთა რაოდენობა იზრდება, ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის ავტორიტარულ რეჟიმს, რადგან მას ხელიდან აცლის ძალაუფლების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა: მატერიალური რესურსების კონტროლი, ადამიანური რესურსები, უნარები და ცოდნა, ინფორმაცია და სანქციების აღსრულების შესაძლებლობა. არაძალადობრივი წნეხი სისტემის ჩამოშლას იწვევს და თანამდებობიდან ჩამოშორების გარდა, სხვა გზას არ უტოვებს ტირანებს, რაც არაერთხელ გამხდარა მთლიანად რეჟიმის შეცვლის წინაპირობაც კი.

### **უნარები თუ წინაპირობები**

სამოქალაქო წინააღმდეგობის კამპანიების გახშირების კვალად საინტერესო ხდება იმ ფაქტორების გამოკვლევა, რაც ასეთი კამპანიების შედეგს განაპირობებს. არსებობს ისეთი ფაქტორები, რომლებიც კამპანიის წამოწყებამდე მოგვეცემა იმის განსაზღვრის შესაძლებლობას, თუ ვის სასარგებლოდ დამთავრდება ბრძოლა - დიქტატორის თუ მოძრაობის? თუ ყველაფერი სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და კონფლიქტის წარმოების იმ უნარებზეა დამოკიდებული, რომლებიც მხარეებს გააჩნიათ?

არაძალადობრივი კონფლიქტების საერთაშორისო ცენტრის მიზანია დაამტკიცოს, რომ უნარები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წინაპირობები. ამ პოზიციას, როგორც

თავი მომზადდა მეთიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), *Is Authoritarianism Staging a Comeback?*, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

წესი, აკრიტიკებენ და ხშირად მიუთითებენ რეჟიმების შესაძლებლობაზე - ძალის გამოყენებით გაუმკლავდეს სამოქალაქო მოძრაობებს. „არაძალადობრივი წინააღმდეგობა მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა ოპონენტი კეთილგანწყობილია მოძრაობის მიმართ ან სუსტია“ - გაიგებთ ხშირად, თუმცა, რატომღაც, ავიწყდებათ ხოლმე სამხრეთ აფრიკის აპართეიდი, პინოჩეტი ჩილეში, მარკოსი ფილიპინებში ან კომუნისტური რეჟიმი პოლონეთში. უახლესი მაგალითებია მუზარაქის რეჟიმი ეგვიპტეში და ბენ ალი ტუნისში. გაგვიჭირდება, ამ რეჟიმებს დავარქვათ სუსტი ან ვიფიქროთ, რომ აქტივისტების წინააღმდეგ მკაცრი რეპრესიული ზომების გამოყენება ეუხერხულებოდათ.

რაოდენობრივ მონაცემებს ხარისხობრივი ანალიზის შედეგებიც ამყარებს. 2008 წელს თავისუფლების სახლმა გამოაქვეყნა კვლევა, სადაც გამოიკვლია სამოქალაქო წინააღმდეგობის გამოცდილება 64 ტრანზიციულ სახელმწიფოში, 1975-2006 წლებში; ასევე, შეაფასა სხვადასხვა სტრუქტურული ფაქტორები, რომელთაც გავლენა იქონიეს ტრანზიციის პროცესზე. გთავაზობთ ნაწყვეტს მათი დასკვნიდან:

. . . არც პოლიტიკურსა და არც სხვა გარემო ფაქტორებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი გავლენა სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობების წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე . . . სამოქალაქო ჯგუფების წარმატების ალბათობა ისეთივეა ნაკლებად განვითარებულ, ეკონომიკურად ღარიბ სახელმწიფოებში, როგორც მდიდარსა და განვითარებულ საზოგადოებებში. კვლევაში ასაბუთებს, რომ მტკიცება, თითქოს ეთნიკურად და რელიგიურად პოლარიზებული გარემო აისახება სამოქალაქო ოპოზიციის გაერთიანების პოტენციალზე, არ არის დადასტურებული ფაქტებით. არც რეჟიმის ტიპოლოგია განსაზღვრავს სამოქალაქო მოძრაობების უნარს, მოიპოვონ ფართო მხარდაჭერა<sup>3</sup>.

ერთადერთი ფაქტორი, რომელსაც, კვლევის თანახმად, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სამოქალაქო წინააღმდეგობის ჯგუფების შექმნასა და მათ შედეგებზე, მთავრობის ცენტრალიზაციის ხარისხი იყო. ავტორები მიუთითებენ, რომ:

კვლევის თანახმად, არსებობს კორელაცია ცენტრალიზაციის მაღალ ხარისხსა და სამოქალაქო მოძრაობის ეფექტურობას, მთავრობის წინააღმდეგ მოქმედების პოტენციალს შორის. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ რაც უფრო მაღალია მთავრობის ცენტრალიზაციის ხარისხი, მით ნაკლებია წარმატებული სამოქალაქო მოძრაობების შექმნის შესაძლებლობა<sup>4</sup>.

იმ პირობებში, როდესაც კვლევამ ერთი ფაქტორის იდენტიფიცირება მოახდინა, რაც, შესაძლოა, სამოქალაქო მოძრაობის ტრაექტორიაზე ახდენდეს გავლენას, მთელი დანარჩენი ტექსტი მიუთითებს, რომ არ არსებობს მტკიცებულებები, რომელთა მეშვეობითაც დადასტურდებოდა სხვა წინაპირობების პირდაპირი გავლენა სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობების შედეგებზე.

კვლევის გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ, მკვლევარებმა - ერიკა ჩენოვეთმა და მარია სტეფანმა, 1900-2006 წლებში, სხვადასხვა მთავრობების წინააღმდეგ წარმოებული 323 ძალადობრივი და არაძალადობრივი კამპანია გამოიკვლიეს და გამოაქვეყნეს პრიზირებულ

თავი მომზადდა მეტიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

ნაშრომში - „რატომაცა სამოქალაქო წინააღმდეგობის კამპანიები წარმატებული: არაძალადობრივი კონფლიქტების სტრატეგიული ლოგიკა“<sup>5</sup>. კვლევამ აჩვენა, რომ არაძალადობრივი კამპანიები წარმატებული იყო 53% შემთხვევაში მაშინ, როცა ძალადობრივი კამპანიები მხოლოდ 26%-ში. კვლევის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული რეპრესიები და სხვა სტრუქტურული ფაქტორები შესაძლოა გავლენას ახდენდნენ სამოქალაქო მოძრაობების წარმატების შესაძლებლობებზე (თუმცა, გაცილებით უფრო ნაკლები ინტენსივობით, ვიდრე ეს მიიჩნევა. მაგ.: სახელმწიფო რეპრესიები წარმატების შესაძლებლობას 35%-ის ამცირებს), არ არსებობს იმგვარი სტრუქტურული წინაპირობები, რაც აუცილებლად განსაზღვრავდა სამოქალაქო მოძრაობის შედეგებს<sup>7</sup>. მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ნაშრომი ასკვნის, რომ „სამოქალაქო წინააღმდეგობა ხშირად წარმატებულია ისეთი გარემო პირობების მიუხედავად, რაც ბევრისთვის წარუმატებლობის წინაპირობადაა აღქმული“<sup>8</sup>.

კვლევის შედეგებმა ის უზუსტობები გამოავლინა, რომელსაც, ტრადიციულად, სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობების შესახებ წარმოდგენები ეყრდნობოდა. უნარები და სტრატეგიული არჩევანი, ხშირად, გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე რაიმე წინაპირობა. ალბათ, არც უნდა გვიკვირდეს ამგვარი დასკვა, რადგან პირველი სტრატეგიული გადაწყვეტილება, ტირანიასთან მეზრძოლთათვის, არის სწორი დაპირისპირების ფორმის შერჩევა - ანუ, როგორ ვებრძოლეთ ტირანიას. თუ სტრატეგიული არჩევანის მნიშვნელობას გამოვრიცხავთ, გონივრული იქნება დავასკვნათ, რომ ამგვარ გადაწყვეტილებას არანაირი გავლენა არ აქვს შედეგზე და ძალადობრივი და არაძალადობრივი დაპირისპირების ფორმები მსგავსი შედეგით უნდა მთავრდებოდეს.

კვლევის მონაცემები საპირისპიროს გვიჩვენებს. 1900 და 2006 წლებში „სახალხო ძალაუფლების“ მოძრაობები ორჯერ უფრო წარმატებულნი იყვნენ, რასაც ახალი კვლევებიც ადასტურებს; ანუ, თანამედროვე კონფლიქტებშიც, წარმატებულობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა<sup>9</sup>. ზოგი ამტკიცებს, რომ სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობები ისეთ „ბრძოლებს“ ირჩევენ, სადაც გამარჯვება ადვილია, მაგრამ ჩენოვეთი და სტეფანი ამტკიცებენ, რომ „ . . . არაძალადობრივი კამპანიების უმრავლესობა იმგვარი ავტორიტარული რეჟიმების პირობებში აღმოცენდება, სადაც მთავრობის წინააღმდეგ მშვიდობიანი ორგანიზება ფატალური შედეგებით შეიძლება დასრულდეს“<sup>10</sup>.

ნობელის პრემიის ლაურეატმა, თომას შელინგმა ამის შესახებ 50 წლის წინ დაწერა ესეში - „სამოქალაქო წინააღმდეგობა, როგორც ეროვნული თავდაცვის შესაძლებლობა: არაძალადობრივი მოქმედება აგრესიის წინააღმდეგ“. აი, რას წერს ავტორი:

„ტირანი და მისი ქვეშევრდომები თითქმის სიმეტრიულ მდგომარეობაში არიან. ქვეშევრდომებს შეუძლიათ, შეზღუდონ მმართველი, თუ მათ აქვთ დისციპლინირებული ორგანიზაცია, რომელიც კოლაბორაციონიზმს გამორიცხავს. ტირანსაც შეუძლია შეზღუდოს ისინი და ამისათვის მის ხელთ არსებული ძალა გამოიყენოს . . . ეს ერთგავრ თამაშს ემსგავსება,

თავი მომზადდა მეთიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

როცა მეტად დისციპლინირებული მხარე უფრო მეტად ზღუდავს ოპონენტს და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დავაკვირდეთ, თუ რომელი დარჩება მოგებული“<sup>11</sup>.

შელინგის მიხედვით, სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩართულ პირთა მიერ შერჩეულ ტაქტიკურ სვლებს თავისი ფასი და სარგებელი აქვს, ისევე, როგორც ოპონენტის მიერ გამოყენებულს. გამარჯვებულია ის, ვინც ამ ფასსა და სარგებელს უფრო ეფექტურად ანაწილებს თავის მომხრეთა შორის. უნარიანი სამოქალაქო წინააღმდეგობის აქტივისტი არეულობის შექმნას ცდილობს მოწინააღმდეგის რიგებში, რათა გაზარდოს ოპონენტის მომხრეთაგან გადმობირებულების რაოდენობა. უნარიანი მმართველი კი ცდილობს მორჩილების განმტკიცებას - ხშირად ძალადობის გამოყენებით, საუკეთესო შემთხვევაში კი, მინიმალური ძალადობის გამოყენებით მაქსიმალური მორჩილების მიღწევას. გადაბირებულებისა და მორჩილების პროპორციები განმსაზღვრელია იმისა, თუ ვინ იგებს და ვინ აგებს ბრძოლას.

### **ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი**

თუ ჩვენ მსჯელობას მიყვებით და დავუშვებთ, რომ კონკრეტული უნარების ქონა და სტრატეგიული არჩევანია მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის მოძრაობებისთვის, მაშინ უნდა შევძლოთ იმ მსგავსებების გამოკვეთა (უნარები, სტრატეგიული არჩევანი), რამაც სხვადასხვა ჯგუფის წარმატებული შედეგი განაპირობა. შეგვიძლია, ყურადღება გავამახვილოთ სხვადასხვა ასპექტებზე, თუმცა, მათი დაწურვის შემდეგ, სამი ძირითადი ფაქტორი შეგვიძლია გამოვკვეთოთ:

1. საზოგადოების გაერთიანების უნარი;
2. თანმიმდევრული დაგეგმვის უნარი;
3. არამაღალდობრივი დისციპლინა.

თუ ასეთი შესაძლებლობები სახეზეა, მაშინ აღნიშნული ფაქტორები სამი ძირითადი ტენდენციის საფუძველი ხდება, რომელიც სამოქალაქო წინააღმდეგობის წარმატებას განაპირობებს, ესენია:

1. მზარდი ჩართულობა სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობაში;
2. რეპრესიების შედეგების შემსუბუქება, წინაღობის გაზრდა რეპრესიების მიმართ;
3. ოპონენტის მხარდამჭერთა რიგებიდან მომხრეთა გადმობირება.

ამ სამ ფაქტორსა და სამ ტენდენციას ერთობლივად ვუწოდებთ „ძირითად ამოცანათა ჩამონათვალს“. ჩვენ გვჯერა, რომ აღნიშნული სამი ფაქტორისა და ტენდენციის არსებობა მნიშვნელოვნად ზრდის სამოქალაქო წინააღმდეგობის ჯგუფის წარმატების შანსებს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი“ ვერ იქნება წარმატების

თავი მომზადდა მეტიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

მიღწევის გარანტია; ეს უფრო ჩარჩოა, რომელიც ეხმარება ხალხს, შექმნან სააზროვნო სივრცე და გაზარდონ საქმიანობის ეფექტურობა.

„ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი“ მაშინაც სასარგებლოა, როცა, კონფლიქტის დროს, ჯგუფში შესამჩნევი ხდება დეზორგანიზებულობა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობები ყოველთვის რთულ გარემოში არსებობენ და გადაწყვეტილების მიღების პროცესიც მუდამ დამაბუღია, კონფლიქტების ინტენსიფიკაციის პერიოდში კიდევ უფრო რთულდება ძირითადი პრიორიტეტების იდენტიფიცირება. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თუ აქტივისტს ან გარე დამკვირვებელს სურს ჯგუფის პოტენციალის შეფასება, სწორედ რომ დასახელებული სამი ფაქტორისა და სამი ტენდენციის შეფასება უნდა მოახდინოს. ის ფაქტი, თუ რამდენად იცავს ჯგუფი დასახელებულ პრინციპებს და ქმნის ჩამოთვლილ ტენდენციებს, დაგვეხმარება მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გაგებასა და წარმატების მიღწევის შანსების შეფასებაში.

ქვემოთ დაწვრილებით აღწერთ ძირითად ამოცანათა ჩამონათვალს:

## 1. საზოგადოების გაერთიანების უნარი

ავტორიტარულმა რეჟიმებმა კარგად იციან, თუ როგორ დაყონ და იბატონონ. მათთან დაპირისპირების მსურველმა კარგად უნდა იცოდეს, როგორ გააერთიანოს. ერთობის შექმნა მრავალწახნაგიანი საქმიანობაა, თუმცა მთავარი ასპექტი საერთო, საზიარო, ინკლუზიური ხედვის ჩამოყალიბებაა სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობისთვის. ამის მიღწევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მოძრაობის ორგანიზატორებს კარგად ესმით საზოგადოების გასაჭირი, მიზნები, კულტურა და სხვადასხვა ჯგუფების ღირებულებები, რომელთა გაერთიანებაც ესწრაფვიან. ეს ცოდნა ისეთ ხედვას ქმნის, რომელსაც განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების მიზიდვა შეუძლია. ეფექტურად ჩამოყალიბებული ხედვა ადამიანთა პირად გამოცდილებას უნდა ეხმიანებოდეს და იწვევდეს მათ წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ერთიანობის შესაქმნელად მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ლეგიტიმაციის მქონე ლიდერებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა. საზოგადოებრივ მოძრაობებში მონაწილეობა მოხალისეობრივ საფუძველზე ხდება, რის შესაბამისადაც, მოძრაობის ლიდერებს არანაირი ფორმალური ბერკეტები არ გააჩნით წევრების მიმართ. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების ისეთი გზები უნდა იქნას მოძიებული, რაც მონაწილე პირებს დაარწმუნებს მათ სისწორესა და ლეგიტიმურობაში. ყველა ჯგუფი საკუთარ წესს ქმნის, ზოგი ზედმეტად იერარქიულს, ზოგი დეცენტრალიზებულს და ზოგიც შერეულს. ორგანიზაციული მოწყობის მიუხედავად, ყველა ჯგუფში გვხვდება ლიდერობის განსხვავებული ფორმები და ერთობა ამ განსხვავებათა შორის საერთოს მოძებნას გულისხმობს. ეროვნულ დონეზე, ცნობილ ლიდერებთან ერთად, მოძრაობის ბევრი წევრი ადგილობრივი ლიდერია და მათაც მოეთხოვებათ ორგანიზაციული, კოალიციების შექმნისა და ფართო საზოგადოების მობილიზების უნარების ქონა. სწორედ ამ ადგილობრივი

თავი მომზადდა მეტიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

ლიდერების შრომასა და უნარებზე დამოკიდებული მოძრაობის წარმატება და ერთობის შენარჩუნების შესაძლებლობა.

ანტი-აპართეიდული მოძრაობის ისტორია, 1980-იან წლებში, ორივე დასახელებული ფაქტორის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. ასობით ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფი შეიქმნა სხვადასხვა მოთხოვნის გარშემო: სუფთა წყლის, სხვადასხვა მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება და ა.შ. თუმცა მათ ერთი მთავარი მოთხოვნა აერთიანებდათ - დამთავრებულყოფი აპართეიდი და მომხდარიყო ეროვნული შერიგება. ეს სამოქალაქო ჯგუფები გაერთიანებული დემოკრატიული ფრონტის შემადგენლობაში შედიოდნენ, თუმცა ადგილობრივი ლიდერები ჰყავდათ, რომელთაც შესაფერისი უნარები გააჩნდათ იმისათვის, რომ ადგილობრივი პრობლემების ფონზე, დეცენტრალიზებული კამპანიები ეწარმოებინათ (მაგ.: მომხმარებელთა ბოიკოტი) და ამასთანავე, თანამშრომლობდნენ ცენტრალურ ორგანიზაციულ სტრუქტურებთან და ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან.

არაძალადობრივი კამპანიის წამოწყება იმაზე უფრო რთულია, ვიდრე ბევრი თვლის. არაძალადობრივი კამპანიების წარმოდგენისას, როგორც წესი, საპროტესტო აქციებზე ფიქრობენ, რაც მხოლოდ ერთი ტაქტიკაა ასობით სხვადასხვა, გამოცდილი ტაქტიკური არსენალიდან. წარმატებული საზოგადოებრივი მოძრაობები დროულად ხვდებიან, თუ რომელი ტაქტიკური სვლა გამოიყენონ კონკრეტულ დროსა და ადგილას და ვინ იყოს მთავარი მოქმედი პირი, ვის წინააღმდეგ უნდა იყოს შესაბამისი სვლა მიმართული და რა მიმდევრობით უნდა ჩაჯდეს ის სხვა სვლებს შორის.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვს არა მხოლოდ ჯგუფის შესაძლებლობების დეტალურ ანალიზს, არამედ მოწინააღმდეგის სუსტი და ძლიერი მხარეების ცოდნას, შესაძლებლობების ზუსტ და გარემოს ადეკვატურ შეფასებას, ნეიტრალური და დამოუკიდებელი ჯგუფების პოზიციების გათვალისწინებას, როცა მათ შეიძლება გავლენა ჰქონდეთ კონფლიქტის მიმდინარეობაზე. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამოქალაქო მოძრაობები აყალიბებენ ეფექტურ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან სამოქმედო ამოცანებს და სამოქმედო გეგმებს. ასეთი გეგმები, როგორც წესი, იცვლება დროსთან ერთად; ამ შემთხვევაში, გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ არა რაიმე კონკრეტული გეგმა, არამედ დაგეგმვის პროცესის შენარჩუნებაა მნიშვნელოვანი, რომელშიც სამოქალაქო მოძრაობის წევრებიც იქნებიან ჩართულნი.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ თანმიმდევრული დაგეგმვისას ვაკვირდებით სამოქალაქო მოძრაობის წევრების უნარებისა და არსებული წინაპირობების ურთიერთმიმართებას. დაგეგმვის საფუძველს არსებული წინაპირობების კარგი ცოდნა წარმოადგენს. მოძრაობის წევრები ცდილობენ, თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ არსებული წინაპირობები, გადალახონ ან თავი აარიდონ სიძნელეებს, დაგეგმვის უნარებისა და სწორი სტრატეგიული გათვლების გამოყენებით.

დაგეგმვის მნიშვნელობაზე კარგ მაგალითს გვაძლევს პოლონეთის 1980-იანი წლების სოლიდარობის მოძრაობა. საკუთარი შესაძლებლობების შეფასების შემდეგ, მუშათა თავი მომზადდა მეთიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა პოლიტიკურად რეალისტური მოთხოვნა, შეექმნათ დამოუკიდებელი პროფესიული გაერთიანებები (თავიდან თავს იკავებდნენ იმ დროისთვის მიუღწეველი მიზნის დეკლარირებისგან, როგორც იყო კომუნისტური რეჟიმის დასრულება), რა მიზნითაც მოხდა ძალების მობილიზება; პარალელურად კი, სოლიდარობის ქსელი ცდილობდა, ოპონენტის იმ სუსტ მხარეებზე ზეწოლას, როგორცაა ეკონომიკური პრობლემები და სუსტი ლეგიტიმაცია; ამ გათვლების საფუძველზე, მათ აირჩიეს ეფექტური მოქმედების ტაქტიკა, იძულებით დაიკავეს სამუშაო ადგილები და, ფაბრიკებსა და ქარხნებში მყოფებმა, მოაწყვეს გაფიცვა (ნაცვლად დემონსტრაციების მოწყობისა, რასაც წინა წლებში მიმართავდნენ და რითაც რეპრესიების რისკს ზრდიდნენ წვერების მიმართ). ამ ტაქტიკას თან ერთვოდა გათვლა, რომ მათ გააჩნდათ წინა ათწლეულში განვითარებული ალტერნატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა - ბეჭდური მედია და პერიოდული გამოცემები, რაც ქალაქებს შორის ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას იძლეოდა. სტრატეგიული მიზნის სწორად არჩევამ, სწორი სამიზნის გამოკვეთამ და შესაფერისი ტაქტიკური სვლების გამოყენებამ (გაფიცვებისა და სამუშაო ადგილების იძულებით დაკავების კომბინაციამ), რაც მათ შესაძლებლობებს შეესაბამებოდა, სოლიდარობის მოძრაობას სამოდრო სივრცე შეუქმნა, გადააღახინა მძიმე წინაპირობები და დაეხმარა საბოლოო მიზნის მიღწევაში, 1989 წელს დემოკრატიული პოლონური სახელმწიფოს გამოცხადებაში<sup>12</sup>.

### 3. არაძალადობრივი დისციპლინა

არაძალადობრივი დისციპლინის შენარჩუნება - წინააღმდეგობის მოძრაობის წვერების უნარი, რომ პროვოკაციების მიუხედავად, თავი შეიკავონ ძალადობისგან, სამოქალაქო წინააღმდეგობის ბირთვის წარმოადგენს. არაძალადობრივი დისციპლინის გამოყენებით, სამოქალაქო მოძრაობები ზრდიან მონაწილეთა რიცხვს, ოპონენტს უფრო ძვირად უჯენენ გამოყენებულ ძალადობას, ზრდიან პროტესტის შესაძლებლობას და მეტ ინტერესს უჩენენ ოპონენტის მხარეს არსებული ინსტიტუტების მონაწილეებს, რათა მათ მხარეს გადმოვიდნენ. როგორც ჩენოვეთისა და სტეფანის კვლევა გვიჩვენებს, ეს ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ წარმატებულობის მაჩვენებლებზე, როცა ერთმანეთს ვადარებთ ძალადობრივსა და არაძალადობრივ მოძრაობებს<sup>13</sup>.

არაძალადობრივი კულტურის შექმნა სამოქალაქო მოძრაობის წვერების რწმენასა და თავდაჯერებას მოითხოვს, რომ სამოქალაქო წინააღმდეგობა მათი პრობლემის მოგვარების ეფექტური გზაა. ამისთვის აუცილებელია სამოქალაქო წინააღმდეგობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ისტორიული გამოცდილების გაცნობა და წარმატების მაგალითების შექმნა, რაც დაარწმუნებს წვერებს, რომ სწორედ ეს გზაა ეფექტური და მას შედეგის მიღწევა შეუძლია. სამოქალაქო მოძრაობები ცდილობენ, შექმნან შიდა კულტურა, ქცევის ნორმები, რითაც დაამკვიდრებენ არაძალადობრიობას, როგორც ქცევის ნორმას. მაგალითად სერბეთში, მოძრაობა „ოტპორის“ წვერებს მუდმივად უტარდებოდათ ტრენინგები სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობების შესახებ, მისი მოქმედების პრინციპებისა და არაძალადობრიობის მნიშვნელობაზე.

თავი მომზადდა მეთიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

არ არის აუცილებელი არაძალადობრიობის მხოლოდ ეთიკურ მხარეზე საუბარი; მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ არაძალადობა პრაგმატული არჩევანია და შეადაროს ის შემთხვევებს (სირიის გამოცდილება ამის კარგი მაგალითია), სადაც მოუთმენლობამ და თავდაჯერების ნაკლებობამ ძალადობრივი მეთოდებისკენ გადაახვევინა სამოქალაქო მოძრაობას და ამან დამანგრეველი შედეგები მოიტანა.

#### 4. მონაწილეთა მატება სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობაში

მონაწილეთა დიდი რაოდენობა სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობაში ალბათ მოძრაობის წარმატების განმსაზღვრელი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია<sup>14</sup>. აღნიშნული დასკვნა ბუნებრივად გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ მოძრაობის წევრების ზრდა ყოველთვის ავტორიტარული რეჟიმისთვის მორჩილებაზე უარის თქმის ხარჯზე ხდება. ამით მცირდება ავტორიტარული ხელისუფლების გავლენა და მისთვის უფრო რთული, უფრო ძვირი ხდება კონტროლის შენარჩუნება. უფრო მეტიც, ჩვენ ვთვლით, რომ სამოქალაქო ჩართულობის ზრდა, რეპრესიების საპასუხოდ, პროტესტის ზრდასაც განაპირობებს და ამით იზრდება რეპრესიაზე საპასუხო ქმედებების ალბათობაც. ხარისხობრივი კვლევის მაჩვენებლებიც ადასტურებს, რომ სამოქალაქო მოძრაობაში მონაწილეთა ზრდა ოპონენტის მომხრეთა გადმობირების სიხშირეზეც მოქმედებს<sup>15</sup>.

მონაწილეთა რაოდენობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ეგვიპტისა და ტუნისის 2011 წლის რევოლუციების გამოცდილებას, სადაც მოხდა საზოგადოების განსხვავებული ფენებისა და ჯგუფების მობილიზება - კაცები და ქალები; რელიგიური და სეკულარული ჯგუფები; ახალგაზდრა, შუახნის და მოხუცი მონაწილეები; დაბალშემოსავლიანი და საშუალო ფენის წარმომადგენლები; ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები. ამის საპირისპიროდ, მოვიყვანთ მაგალითს ჩინეთის ახალგაზრდული მოძრაობის გამოცდილებიდან 1989 წელს და მწვანე მოძრაობის გამოცდილებას 2009 წელს. ორივე კამპანიამ მილიონობით მხარდამჭერი მიიზიდა და მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ ვერცერთმა შეძლო დასახული მიზნის მიღწევა, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ მხარდამჭერთა ჯგუფების გაფართოება ვერ შეძლეს, ვერ იქცნენ ფართო საზოგადოებრივ მოძრაობებად.

აქტიური ჩართულობა სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობაში „ძირითად ამოცანათა ჩამონათვალში“ არსებული პირველი სამი პუნქტის შესრულების ბუნებრივი შედეგია. გამაერთიანებელი ხედვა საზოგადოებაში თანხმობის შექმნის წინაპირობა ხდება და მობილიზაციას ახალისებს. თანმიმდევრული დაგეგმვის პროცესი თავდაჯერებულობას ზრდის და მრავალფეროვანი ტაქტიკური არსენალის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, რაც რისკების მიმართ მონაწილეთა მზაობას ითვალისწინებს, ანგარიშს უწევს მათ დროსა და მოძრაობისთვის მსხვერპლის გაღების სურვილს. ეფექტური სტარტეგია ერგება ახალგაზრდებსა და მოხუცებს, მდიდრებსა და ღარიბებს და ყველას, ვინც შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ ჯგუფებს შორის, შესაძლებლობას აძლევს მათ, ჩაერთონ და აკეთონ მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეები სამოქალაქო მოძრაობის მხარდასაჭერად. არაძალადობრივი დისციპლინა იმის გარანტიაა, რომ ყველამ შეძლოს ჩართვა (განსხვავებით

თავი მომზადდა მეთიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

ძალადობრივი დაპირისპირებებისგან, სადაც ფიზიკურად ძლიერ მამაკაცებს აქვთ უპირატესობა) და არაძალადობრივი მიზნებიც უფრო ფართო საზოგადოებისთვის ხდება ხოლმე მისაღები.

## 5. რეპრესიების გავლენის შემცირება, წინააღობის ზრდა

ავტორიტარული რეჟიმების ყველაზე ძლიერი იარაღი რეპრესიების განხორციელების შესაძლებლობაა. ეფექტური საზოგადოებრივი მოძრაობები ახერხებენ რეპრესიების შედეგების შემცირებას და რეჟიმს ნებისმიერ ძალადობას ძვირად უფასებენ. ერთ-ერთი ხერხი, რომელსაც ამისთვის იყენებენ, რისკების შეფასება და შესაფერისი ტაქტიკური სვლების შერჩევაა. ყველა ტაქტიკური სვლა რეპრესიის ერთნაირ რისკს არ წარმოშობს. თუ ცენტრალიზებული მოქმედებები, როგორცაა მასიური დემონსტრაციები, რეპრესიის მაღალი რისკის მატარებელია, დეცენტრალიზებული მოქმედებები, როგორცაა მომხმარებელთა ბოიკოტი, სახლში დარჩენა - გაფიცვა, სკოლაში არწასვლა ავადმყოფობის მომიზეზების გამო, მცირე სიმბოლოების ანონიმურად ხატვა საჯარო ადგილებში - გაცილებით რთული აღმოსაჩენია რეჟიმისთვის და შესაბამისად, რთული ხდება მათ გამო ვინმეს დასჯა. ძალიან ძნელია ვინმეს დასჯა, როცა არ არის ნათელი, თუ ვინ მონაწილეობს პროტესტში (ერთი შეხედვით, ძნელია გამოიცნოთ ვინ მონაწილეობს მომხმარებელთა ბოიკოტში, რადგან ადამიანს შეიძლება უბრალოდ არ სურდეს კონკრეტული პროდუქტის ყიდვა) და როცა პროტესტის მონაწილეს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, უარყოს პროტესტში მონაწილეობა (მაგ.: სახლში დარჩენის და ავადმყოფობის მომიზეზების დროს პოლიცია იძულებული იქნება ყველა ავადმყოფი მოიაროს და გადაამოწმოს).

1983 წელს პოლიტიკურმა დისიდენტებმა ახალი გზების ძიება დაიწყეს ავგუსტო პინოჩეტის რეჟიმის გასაპროტესტებლად. მასობრივი დაკავებების, მკვლელობების, წამებისა და გაუჩინარებების ფონზე საზოგადოება დაშინებული იყო და ძნელი ხდებოდა გაერთიანება, მობილიზაცია. აპრილში, სანტიაგოს გარეთ, სპილენძის მადაროს მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, თუმცა პინოჩეტმა არმია გაგზავნა, მადარო ალყაში მოაქცია და სისხლისღვრით დაემუქრა ყველას, ვინც გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებდა. ამის საპასუხოდ, პროტესტის ლიდერებმა გაფიცვაზე უარი თქვეს და სანაცვლოდ პროტესტის ეროვნული დღე გამოაცხადეს, როცა ყველა, ვინც რეჟიმს აპროტესტებდა - გადაადგილდებოდა და იმუშავებდა აუჩქარებლად და საღამოს 8 საათზე დაიწყებდა ქვაბებსა და ტაფებზე ბრაზუნს<sup>16</sup>. ამ აქციაში უპრეცედენტოდ მაღალი იყო საზოგადოების ჩართულობა, რამაც ის ყოველთვიურ საპროტესტო კამპანიად აქცია. შედეგად, კამპანიამ შეძლო გაერღვია შიშის ზღუდე და გადაელახა საზოგადოებაში არსებული დაყოფა, რასაც ეყრდნობოდა პინოჩეტის რეჟიმი. ამ კამპანიას თან ახლდა დასაშვები, მცირე რისკი, თუმცა შეუძლებელი ხდებოდა მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიების გამოყენება, რადგან პინოჩეტის უშიშროების სამსახურებს არ გააჩნდათ მეთოდები ასეთი ფართომასშტაბიანი და თანაც დეცენტრალიზებული ტაქტიკის წინააღმდეგ.

თავი მომზადდა მეთიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

სხვა გზები რეპრესიების ეფექტის შესამსუბუქებლად, შეიძლება იყოს: პრობლემებზე აპოლიტიკურ კონტექსტში საუბარი (დემონსტრანტები აპროტესტებენ სუფთა წყლის არარსებობას და არ ლაპარაკობენ ხელისუფლების ცვლილებაზე), ლიდერების ჩანაცვლების მექანიზმების შექმნა, მოძრაობის დაკავშირება სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ჯგუფებთან, რაც მის წინააღმდეგ რეპრესიების გამოყენებას ძლიერი საპროტესტო მუხტის გაჩენის წინაპირობად აქცევს. მაგალითად, 2010 წელს, როცა ეგვიპტელი ბლოგერი, ხალიდ საიდი ინტერნეტ კაფედან გამოათრის და სასიკვდილოდ ცემეს კორუფციის გამომწვარავების გამო, დისიდენტურმა ფეისბუქ ჯგუფმა - „ჩვენ ხალიდ საიდი ვართ“ ეგვიპტის მთავრობას არ მისცა ამ ფაქტის მიჩქმალვის შესაძლებლობა. მათ შეძლეს, ეგვიპტელებისთვის ეჩვენებინათ, რომ საიდი ჩვეულებრივი ეგვიპტელი ახალგაზრდა იყო, რომელსაც უსამართლოდ გაუსწორდნენ და ამით საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი გააჩინეს, რეპრესიების მიმართ წინააღმდეგობა შექმნეს.

## 6. ოპონენტის მხარდამჭერთა რიგებიდან გადმოზიარებულია რაოდენობის ზრდა

სამოქალაქო წინააღმდეგობის წარმატებულ კამპანიას თან ახლავს მოწინააღმდეგის რიგებიდან გადმოზიარებული აქტიური და პასიური მხარდამჭერების რაოდენობის ზრდა. მაგალითად, რეფორმატორებმა და კონსერვატორებმა შესაძლოა, კონტროლის მექანიზმების ხელში ჩასაგდებად, საჯაროდ დაიწყონ დაპირისპირებები. ეკონომიკურმა ინტერესებმა შესაძლოა, აიძულოს სახელმწიფო - დააკმაყოფილოს სამოქალაქო მოძრაობის გარკვეული მოთხოვნები, რათა ბიზნესებს ფუნქციონის შესაძლებლობა მიეცეთ. რეჟიმის მოხელეებმა, როგორებიც არიან სამხედროები, პოლიცია, ბიუროკრატია და სხვები ასევე შეიძლება შეიცვალოს მხარე, სხვადასხვა მიზეზის გამო. შესაძლოა, მათთვის მნიშვნელოვანი იყოს სამოქალაქო მოძრაობის წევრთა არგუმენტები ან შესაძლოა, მათი ოჯახის წევრებიც კი აღმოჩნდნენ ჩართულნი სამოქალაქო მოძრაობაში. ელიტებმაც კი, ვინც მთავრობის მხარდამჭერია, შეიძლება ეჭვი შეიტანონ რეჟიმის სიძლიერეში და პასიური მხარდამჭერით შემოიფარგლონ, რადგან, იმ შემთხვევაში, თუ ისტორია შეიცვლება და სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობა გაიმარჯვებს, არ მოხდეს მათი ასოცირება დამარცხებულთან.

უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის დროს, 2004 წელს, პროტესტის მონაწილეებმა თავიდანვე დაამყარეს კავშირი ძალოვან სტრუქტურებთან, გადამდგარი ოფიცრების დახმარებით<sup>17</sup>. დროთა განმავლობაში, ოპოზიციამ დაამტკიცა, რომ მათი მოქმედებები არაძალადობრივი და გონივრული დარჩებოდა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს მოუწოდა, ერთად დაეცვათ საჯარო ინტერესები; მათთან მეგობრული კავშირები დაამყარეს სხვადასხვა აქტივობებითა და სლოგანებით, გამომჟღავნეს სახელმწიფოში არსებული კორუფციის მასშტაბები და ეტაპობრივად მიაღწიეს იმას, რომ ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები ლოიალურად განეწყვნენ მათ მიმართ. როდესაც რეპრესიების დრო დადგა, ბევრმა ოფიცრმა და პოლიციის თანამშრომელმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. იგივე მოხდა სერბეთში, მილოშევიჩის რეჟიმის დროს. ღიად პოზიციის გამოხატვის გარეშე, ძალოვანი უწყებების თანამშრომლები ნაკლები ენთუზიაზმით ასრულებდნენ მიღებულ ბრძანებებს. 5 ოქტომბერს, როცა ბელგრადში კამპანიამ პიკს მიაღწია, თავი მოშადადა მეტიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

პოლიციის ოფიცერმა დავალება მიიღო, რომ შეკრებილი დემონსტრანტების წინააღმდეგ ქიმიური ნივთიერება გამოეყენებინა, თუმცა მან უარი თქვა ბრძანების შესრულებაზე და უამინდობა მოიმიზეზა, როცა, რეალურად, მშვენიერი, მზიანი ამინდი იყო. მოგვიანებით მიცემულ ინტერვიუში მან ახსნა, რომ ბრძანების აღსრულება არ შეეძლო, რადგან შესაძლოა, მისი ოჯახის წევრები იმ დღეს აქციას ესწრებოდნენ<sup>18</sup>.

დარწმუნებისა თუ კერძო ინტერესების საფუძველზე, გადმოხილება გრძელვადიანი პროცესია. პირველი ორი ტენდენციის მსგავსად, ესეც სამოქალაქო მოძრაობის ერთიანობიდან, სწორი დაგეგმვისა და არაძალადობრივი დისციპლინის გამოცდილებიდან გამომდინარეობს. არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ განსხვავებული ჯგუფების მაქსიმალური ჩართულობა კორელაციაში მოდის გადმოხილების ინტენსივობასთან, ხოლო ერთობა, დაგეგმვა და არაძალადობრივი დისციპლინა აქტიური ჩართულობის წინაპირობებია. არაძალადობრივი დისციპლინა განსაკუთრებით ეფექტურია გადმოხილებების წასახალისებლად. სანამ მოძრაობა ახერხებს არაძალადობრივი ბუნების შენარჩუნებას (რაც, სამწუხაროდ, ვერ მოხდა სირიაში 2011 წელს), მას ყოველთვის შეუძლია წახალისოს მოწინააღმდეგის მომხრეები, რათა შეიცვალოს მხარე. თუ მოწინააღმდეგის მომხრეებს არ ემუქრებათ ეგზისტენციური საფრთხე, მაშინ მათი გადმოხილების ალბათობა ყოველთვის არსებობს და საფრთხეს უქმნის ავტორიტარული რეჟიმის ძალაუფლების საყრდენ ბურჯებს.

### რა უნდა გაითვალისწინონ გარე აქტორებზე

ჩვენ მიერ მოცემული ჩამონათვალი მხოლოდ აქტივისტებისთვის არ არის სასარგებლო. სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც შეუძლიათ მისი გამოყენება, საკუთარი მონაწილეობის ეფექტიანობის გასაზრდელად.

ჩამონათვალი სასარგებლოა ჟურნალისტებისთვის და ეხმარება მათ, გაშუქებისას, ყურადღება მიაქციონ სამოქალაქო წინააღმდეგობის მნიშვნელოვან ასპექტებს. თუ მედიას სურს წინააღმდეგობის კამპანიის ღრმა ანალიზი, ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი დაეხმარება, რომ უკეთ გაიაზროს მიმდინარე კონფლიქტი და მთავარი აქცენტი იმაზე კი არ გააკეთოს, თუ რამდენი მოლოტოვის კოქტეილი იყო გამოყენებული, როგორც ეს კიევში ხდებოდა 2014 წელს, არამედ სრულად ესმოდეს მოვლენათა შინაარსი. იმის გამოძიება, თუ რამდენად აერთიანებს მოძრაობა საზოგადოებას, როგორია დაგეგმვის პროცესი, არაძალადობრივი სტრატეგიები, რეპრესიები ჯგუფის წევრების მიმართ და მხარდამჭერთა ზრდის ტენდენციები, ისევე როგორც ტენდენცია, თუ რამდენად ემორჩილებიან ძალოვანი სტრუქტურები ბრძანებებს - უკვე რეალურ ინფორმაციას მიაწვდიდა დაინტერესებულ საზოგადოებას. ამას თუ დავამატებთ ბიზნესების მიერ მორჩილებაზე უარის თქმას, გასაგები გახდება, რატომ მიატოვა იანუკოვიჩმა უკრაინა 21 თებერვალს, მას შემდეგ, რაც ძალადობის ყველაზე მიუღებელი ფორმები გამოიყენა საზოგადოების წინააღმდეგ. ამგვარი განვითარების წარმოდგენა

თავი მომზადდა მეტიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

შესაძლებელი იქნებოდა, თავიდანვე სწორი ინდიკატორებისთვის რომ მიექციათ ჟურნალისტებს ყურადღება.

პოლიტიკოსებს მეტი ყურადღება რომ მიექციათ 2011 წლის ბოლოს სირიაში განვითარებული პროცესებისთვის, აღმოაჩენდნენ, რომ ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი უკვე მიანიშნებდა ასადის რეჟიმთან დაპირისპირებული სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის წარმატების მაღალ ალბათობაზე. გახშირდა გადმობირებები ძალოვან სტრუქტურებში, ბიზნესმები ჩაერთნენ წინააღმდეგობის კამპანიაში. ამ ფონზე, სირიის განმათავისუფლებელი არმიის წახალისება - რომ ბრძოლა წამოეწყო ალავიტების არმიასთან, არა მხოლოდ დასახული მიზნებისთვის საზიანო და საპირისპირო შედეგის განმაპირობებელ, არამედ ტრაგედიის გამომწვევ ფაქტორად იქცა.

„ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი“ სასარგებლოა აბორიგენი მოსახლეობის წინააღმდეგობის კამპანიებისთვისაც. ჩამონათვალში პირველი სამი პუნქტი უნარების განვითარებას მოითხოვს და მათ შესახებ ინფორმაცია შეიძლება დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოს სხვადასხვა, მათთვის ხელმისაწვდომი გზებით. უნივერსალური დეკლარაციის მე-19 მუხლი ტირანებსაც კი უკრძალავს ინფორმაციის გადაცემის შეზღუდვასა და პირთა დასჯას, ინფორმაციის საზღვრებს მიღმა გავრცელების გამო. თანამედროვე ტექნოლოგიური ინოვაციები გვიბიძგებს უფრო უკეთ გავიაზროთ ჩამონათვალის ექვსივე პუნქტი და ყველაზე რთულ პირობებშიც კი გამოვიყენოთ ისინი სამი ძირითადი შესაძლებლობისა და სამი მთავარი ტენდენციის დასამკვიდრებლად.

### **ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი და**

#### **კონფლიქტები, რომელიც ჩვენს მომავალს განსაზღვრავს**

არაძალადობრივი კონფლიქტების წარმოება რთულია და სამოქალაქო წინააღმდეგობის მონაწილეები, რომელთაც მუდამ უწევთ სხვადასხვა ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღება და სამოქმედო გეგმების ცვილილება, ხშირად განიცდიან დაბნეულობას. ბუნებრივია, ისინი ფრთხილობენ, რომ არ მიიღონ მცდარი გადაწყვეტილებები და საფრთხეში არ ჩააგდონ წევრების სიცოცხლე და თავისუფლება. თუმცა, ამგვარმა სიფრთხილემ შეიძლება, სრულ უმოქმედობამდეც კი მიიყვანოს ისინი და გააძლიეროს ტირანის დაუმარცხებლობის ილუზია.

ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი აქტივისტებს ეხმარება, გადალახონ დაბნეულობა და შეინარჩუნონ დასახული მიზნები, იმოდროს წინ. ზოგი შეიძლება შემოგვედავოს, რომ ტირანიის დასამარცხებლად არსებული ჩამონათვალი ძალიან გამარტივებულია, არ ითვალისწინებს ბევრ ფაქტორს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას ბევრი ისეთი გარემოების ცოდნა სჭირდება, რაც მხოლოდ კონკრეტული ადგილისთვისაა დამახასიათებელი.

თუმცა, ჩამონათვალი მიზნად არ ისახავს ადგილზე არსებული გარემოებების იგნორირებას, არამედ სააზროვნო ჩარჩოს ქმნის სხვადასხვა გარემოების ერთობლიობაში გასააზრებლად,

თავი მომზადდა მეტიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), Is Authoritarianism Staging a Comeback?, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

რაც გვეხმარება უკეთ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ და რატომ შეიძლება გაიმარჯვოს სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობამ. ატულ გავანდე ძირითად ამოცანათა ჩამონათვალის მნიშვნელობას სხვადასხვა კონტექსტში იკვლევდა. აი რას წერს ავტორი:

ჩამონათვალს შეუძლია ყველაზე გამოცდილი აქტივისტიც კი დაიცვას შეცდომებისგან. ის ერთგვარ სააზროვნო ბაღეს გვთავაზობს. ის თავს უყრის აზროვნების მიმართულელებს, ყურადღებასა და დაკვირვებას . . .<sup>19</sup>

რეალურად რთულ გარემოში, სადაც პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ცოდნა შეუძლებელია ერთ პირს გააჩნდეს და სადაც ბუნდოვანება სუფევს . . . [ეფექტური ჩამონათვალი] გვეხმარება, რომ ერთი შეხედვით არაარსებითი, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალები არ გამოგვეპაროს და . . . ხალხმა შეძლოს ურთიერთობა, შეთანხმება . . . რათა უკეთ გაუმკლავდნენ მოულოდნელობებს<sup>20</sup>.

ჩამონათვალი ვერ იწინასწარმეტყველებს, თუ ვინ იქნება გამარჯვებული: ტირანი თუ სამოქალაქო წინააღმდეგობის აქტივისტი. თუმცა იგი გვთავაზობს მნიშვნელოვან ინდიკატორებს, რაც დაგვეხმარება უკეთ გავიაზროთ, თუ როგორ დაძლევეს თავისუფლების მოთხოვნა ავტორიტარული სისტემის მიერ შექმნილ წინააღმდეგობებს.

## გამოყენებული წყაროები

<sup>1</sup> სტატისტიკა ეფუძნება ერიკა ჩენოვეტისა და მარია. ჯ. სტეფანის ერთობლივ კვლევას, სადაც შესწავლილია მთელ მსოფლიოში მთავრობის შეცვლისკენ მიმართული სამოქალაქო წინააღმდეგობის 105 კამპანია, რომელიც 1900-2006 წლებში განხორციელდა.

Chenoweth Erica and Maria Stephan. 2011. *Why Civil Resistance Works: The Strategic Logic of Nonviolent Conflict*. New York: Columbia University Press. გვ. 6

NAVCO 1.1 მონაცემები ხელმისაწვდომია:

[http://www.du.edu/korbel/sie/research/chenow\\_navco\\_data.html](http://www.du.edu/korbel/sie/research/chenow_navco_data.html)

<sup>2</sup> 1972-2005 წლებში 67 ტრანზიციული დემოკრატიის ანალიზის მაგალითზე, ავტორები, ნაშრომში სახელად: როგორ მოიპოვება თავისუფლება: სამოქალაქო წინააღმდეგობიდან მყარ დემოკრატიაში, მიუთითებენ:

„სამოქალაქო წინააღმდეგობა საკვანძო მნიშვნელობის იყო 67-დან 50 ტრანზიციის შემთხვევაში, ანუ 70%-ზე მეტ შემთხვევაში, სადაც ტრანზიცია დიქტატორული რეჟიმების დამხობის კვალად დაიწყო ან სადაც ახალი სახელმწიფოები შეიქმნა მრავალწინააღმდეგობის სახელმწიფოების დაშლის შედეგად. 50-ვე სახელმწიფო, სადაც წინააღმდეგობამ საკვანძო როლი ითამაშა (იგულისხმება სახელმწიფოები, სადაც სამოქალაქო წინააღმდეგობა იყო წამყვანი ძალა, ან შერეულ პროცესს ჰქონდა ადგილი და ძალაუფლების მონაწილე მხარეებიც ეხმარებოდნენ სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობას), არცერთი იყო თავისუფალი, 25 იყო ნაწილობრივ თავისუფალი და 25 - არათავისუფალი. დღეს [2005], მას შემდეგ, რაც წლები გავიდა ტრანზიციის პერიოდიდან, 32 სახელმწიფოა თავისუფალი, 14 ნაწილობრივ თავისუფალი და 4 - არათავისუფალი“

თავი მომზადდა მეტიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), *Is Authoritarianism Staging a Comeback?*, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.

- 
- <sup>3</sup> Marchant Eleanor, Adrian Karatnycky, Arch Puddington and Christopher Walter. 2008. Enabling Environments for Civic Movements and the Dynamics of Democratic Transition. Freedom House special report. July 18. გვ. 1
- <sup>4</sup> იხ. იქვე გვ. 1
- <sup>5</sup> Chenoweth Erica and Maria Stephan. 2011. *Why Civil Resistance Works: The Strategic Logic of Nonviolent Conflict*. New York: Columbia University Press. გვ. 6
- <sup>6</sup> იხ. იქვე გვ. 9
- <sup>7</sup> იხ. იქვე გვ. 68
- <sup>8</sup> იხ. იქვე გვ. 62
- <sup>9</sup> Chenoweth, Erica. 2014 Trends in Civil Resistance and Authoritarian Responses. The Atlantic Council Future of Authoritarianism Project. April 15.
- <sup>10</sup> Chenoweth Erica and Maria Stephan. 2011. *Why Civil Resistance Works: The Strategic Logic of Nonviolent Conflict*. New York: Columbia University Press. გვ. 66
- <sup>11</sup> Thomas C. Schelling. 1968. "Some Questions on Civilian Defence," in Adam Roberts, ed., *Civilian Resistance as a National Defence: Non-violent Action Against Aggression*. Harrisburg, PA: Stackpole Books. გვ. 304.
- <sup>12</sup> Ackerman, Peter and Jack DuVall. 2000. *A Force More Powerful: A Century of Nonviolent Conflict*. London: St. Martin's Press/Palgrave Macmillan. გვ. 113-174
- <sup>13</sup> Chenoweth Erica and Maria Stephan. 2011. *Why Civil Resistance Works: The Strategic Logic of Nonviolent Conflict*. New York: Columbia University Press. გვ. 30-61
- <sup>14</sup> იხ. იქვე გვ. 30-61
- <sup>15</sup> იხ. იქვე გვ. 46-49
- <sup>16</sup> *A Force More Powerful*. Dir. Steve York. York Zimmerman. 2000. Film.
- <sup>17</sup> Binnendijk, Anika Locke, and Ivan Marovic. 2006. Power and Persuasion: Nonviolent Strategies to Influence State Security Forces in Serbia (2000) and Ukraine (2004). *Communist And Post-Communist Studies* 39, no. 3 (September). გვ. 411-429.
- <sup>18</sup> Interview with Nebojsa Covic, *Vecernje Novosti*, Oct. 2, 2010.
- <sup>19</sup> Gawande, Atul. 2009. *The Checklist Manifesto: How to Get Things Right*. New York: Picador. გვ. 47
- <sup>20</sup> იხ. იქვე გვ. 79

თავი მომზადდა მეტიუ ბაროუსა და მარია ჯ. სტეფანის რედაქტორობით გამოსული ნაშრომისთვის: ცდილობს თუ არა ავტორიტარიზმი ხელახლა აღორძინებას?, ვაშინგტონი, ატლანტიკის საბჭო, 2015, - ინგ. Mathew Burrows and Maria J. Stephan (eds.), *Is Authoritarianism Staging a Comeback?*, Washington, DC: The Atlantic Council, 2015.